დანართი N1

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

საქართველოში 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ოჯახების თანადგომა

საგრანტო პროგრამა № 001-2025

2025 წელი

პრეამბულა

საქართველოში 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად 2,000-მდე ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა. მათი ბედისა და ადგილსამყოფელის დადგენა სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიების პროცესს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, როგორც გაუჩინარებულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფელის დადგენის, მათი ოჯახების თანადგომის, ისე ხელოვნურად დაშორებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის ხელშეწყობის თვალსაზრისით.

უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების და ოჯახებისთვის გადაცემის პროცესი 1990-იანი წლებიდანვე მიმდინარეობს. 2010 წლიდან აღნიშნულ პროცესებში, აქტიურად ჩაერთო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC), რის შემდგომაც უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიება, იდენტიფიცირება, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახების თანადგომა ICRC -ის ეგიდით მოქმედი ორი ჰუმანიტარული საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში ხორციელდება. დღეის მდგომარეობით, აღნიშნული მექანიზმების საქმიანობის შედეგად 323 *(სამას ოცდასამი)* ოჯახს გაეცა პასუხი მათი უგზო-უკვლოდ დაკარგული ახლობლების ხვედრისა და ადგილსამყოფელის შესახებ.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ინიციატივით, 2019 წელს განხორციელებული სტრატეგიული კვლევის დასკვნების და რეკომენდაციების თანახმად, მიმდინარეობს საქართველოში 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების, იდენტიფიცირების და ოჯახებისთვის გადაცემის სახელმწიფო პროგრამის ეტაბობრივი ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც გულისხმობს პროგრამის განხორციელებაში ჩართული სახელმწიფო უწყებების როლის გაზრდას, მათ შორის, განსაზღვრული ფუნქციების ICRC- გან ეტაპობრივი გადმობარების და მათ აღსასრულებლად საჭირო დამატებითი რესურსების შესაბამისად უზრუნველყოფის გზით. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის უკვე გაზრდილი კომპეტენციებისა და ფუნქციების გათვალისწინებით, ხსენებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთი პრიორიტეტული - უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ოჯახების თანადგომის კომპონენტი, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და მხარდაჭერით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინებით ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახების თანადგომის კომპონენტის ფარგლებში, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ დანერგილი პრაქტიკა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების, ასევე უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ოჯახების თანადგომისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროცესის შესაბამის რეგიონებში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით წარმართვას და ადგილობრივ დონეზე კოორდინირებულ მუშაობას ითვალისწინებდა, მთელი საქართველოს მასშტაბით მცხოვრებ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ოჯახებთან კომუნიკაციის გამარტივების და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აღნიშნული საგრანტო პროგრამა მიზნად ისახავს, რეგიონულ დონეზე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გრანტის გაცემას, რის საფუძველზეც, მათ მიერ

მიღებული ფინანსური რესურსი გამოყენებული იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ოჯახების თანადგომის უზრუნველსაყოფად, აღნიშნული კომპონენტით გათვალისწინებული სამი ძირითადი განზომილების შესაბამისად.

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) საგრანტო პროგრამა № 001-2025 - „საქართველოში 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების, იდენტიფიცირების და ოჯახებისთვის გადაცემის პროგრამის ფარგლებში უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ოჯახების თანადგომა" - წარმოადგენს „გრანტების შესახებ" საქართველოს კანონისა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის - ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულ საგრანტო პროგრამას (შემდგომში - საგრანტო პროგრამა).

ბ) გრანტის გამცემია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (შემდგომში - სახელმწიფო მინისტრის აპარატი).

გ) საგრანტო პროგრამა ხორციელდება სახელმწიფო მინისტრის აპარატის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხთა დეპარტამენტის კოორდინაციით.

დ) საგრანტო პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 120 000 (ას ოცი ათასი) ლარს, რომელიც ფინანსდება „საქართველოს 2025 წლის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის დამტკიცებული ასიგნებიდან.

ე) საგრანტო კონკურსის მთლიანი ზღვრული მოცულობა ნაწილდება ხუთ გეოგრაფიულ არეალზე შემდეგი პრინციპითა და პროპორციულობით:

- ქ. თბილისისთვის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონისთვის გათვალისწინებული საერთო საგრანტო ბიუჯეტი შეადგენს 30,000 (ოცდაათი ათასი) ლარს;
- შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის ასევე იმერეთის რეგიონის საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებისთვის გათვალისწინებული საერთო საგრანტო ბიუჯეტი შეადგენს 25,000 (ოცდახუთი ათასი) ლარს;
- იმერეთისა (გარდა საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებისა) და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონისთვის გათვალისწინებული საერთო საგრანტო ბიუჯეტი შეადგენს 25,000 (ოცდახუთი ათასი) ლარს;
- სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონისთვის გათვალისწინებული საერთო საგრანტო ბიუჯეტი შეადგენს 25,000 (ოცდახუთი ათასი);
- აჭარისა და გურიის რეგიონისთვის გათვალისწინებული საერთო საგრანტო ბიუჯეტი შეადგენს 15,000 (თხუთმეტი ათასი) ლარს.

ვ) განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საგრანტო წინადადება, ოჯახების თანადგომის კომპონენტის სამი განზომილების შესაბამისად, იმ ერთი კონკრეტული გეოგრაფიული არეალის მითითებით, სადაც განხორციელდება საგრანტო წინადადებით გათვალისწინებული საქმიანობა.

ზ) წარმოდგენილი საგრანტო წინადადება უნდა ითვალისწინებდეს განმცხადებლის მიერ შერჩეულ ერთ გეოგრაფიულ არეალში „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ყველა საგრანტო განზომილების შესრულებას.

თ) საგრანტო განზომილებებია:

- უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისა და ინიციატივების მხარდაჭერა;
- უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ოჯახის წევრთათვის ფსიქოლოგიური თანადგომა (საჭიროებისა და სურვილის გათვალისწინებით);
- გაუჩინარების პრობლემაზე ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

2. საგრანტო პროგრამის მიზნები

სახელმწიფო მინისტრის აპარატი წარმოადგენს მაკოორდინირებელ უწყებას, რომელიც ქვეყნის მასშტაბით საკვანძო როლს თამაშობს საგრანტო პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში, კერძოდ:

ა) საქართველოში 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ხსოვნის უკვდავყოფის ხელშეწყობა, თანაგრძნობის და პატივისცემის გამოხატვა დაკარგულთა ოჯახებისადმი, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ხსოვნასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერა, მემორიალური ღონისძიებებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი დღეების სათანადოდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახების აქტიური ჩართულობით, აღნიშვნის უზრუნველყოფა;

- **30 აგვისტოს,** უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გამართვა, რომელიც საქართველოში 2003 წლიდან ფონდი „მოლოდინის" ორგანიზებით აღინიშნება. დროთა განმავლობაში, ღონისძიებამ უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით იმართებოდა. 2023 წლიდან, ICRC-ის მიერ დანერგილი, წინა წლების, პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და მხარდაჭერით დედაქალაქთან ერთად, საქართველოს ოთხ რეგიონში იმართება;

- **8 დეკემბრის** – უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა სახელზე დაწერილი ღვთისმშობლის ხატის „სამი სიხარულის" ხსენების დღის აღნიშვნა, რომელიც უგზო-უკვლოდ დაკარგული/გაუჩინარებული ადამიანების მფარველად მიიჩნევა. აღნიშნული ხატის დღის აღნიშვნას მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს, განსაკუთრებით კი იმ ოჯახებისთვის, რომელთაც უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულთა ხვედრის თაობაზე დადასტურებული ინფორმაცია არ აქვთ.

  უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა სახელზე დაწერილი ხატი ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 2014 წელს აკურთხა, რის შემდგომაც, ყოველწლიურად, საქართველოს მასშტაბით (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, წყალტუბო, ზუგდიდი, გორი) წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მხარდაჭერით იმართებოდა ხატის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა/გაუჩინარებულთა სულების მოსახსენიებლად პარაკლისი აღევლინებოდა. 2023 წლიდან აღნიშნული პრაქტიკა, რომელიც უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრების მხრიდან მაღალი ინტერესით და აქტივობით ხასიათდება, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და მხარდაჭერით გრძელდება;

ბ) **უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახის წევრთათვის ფსიქოლოგიური თანადგომის საჭიროებისამებრ უზრუნველყოფა** – ახლობელი ადამიანის გაუჩინარება და გაურკვევლობაში ყოფნა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებს განსაკუთრებულ ტრავმას აყენებს, ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს მათზე. ეს მდგომარეობა ცნობილია როგორც ორაზროვანი დანაკარგი. სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე, დღეის მდგომარეობით, საქართველოში 2,000-მდე ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახების ფსიქოლოგიური თანადგომა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დანერგილი პრაქტიკით, საერთაშორისო გამოცდილების და თავად ოჯახების სურვილებისა და საჭიროების მხედველობაში მიღებით ხორციელდება.

აღნიშნული თანადგომის გამოკვეთილი საჭიროება განსაკუთრებით ვლინდება **სპეციფიკური მომენტების დროს,** რაც მოიცავს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა იდენტიფიცირების პროცესის ყველა ეტაპს (*ნეშტების ექსჰუმაციის, ანალიზის, იდენტიფიცირების, ოჯახებისთვის ნეშტების გადაცემის და შემდგომ ეტაპს);*

გ) უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფელის დადგენის და მათი ოჯახების მხარდაჭერის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების სახელობის მემორიალებთან შეკრება, მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და შესაბამისი თარიღების აღნიშვნა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მნიშვნელოვანი ნაწილია გაუჩინარების პრობლემასა და იმ შედეგების შესახებ, რაც ახლობელი ადამიანის უგზო-უკვლოდ დაკარგვას მოაქვს.

ზემოაღნიშნული მიზნები, ემსახურება უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების, იდენტიფიცირებისა და ოჯახებისთვის გადაცემის, ასევე, მათი ოჯახების თანადგომის პროცესის მდგრადობის უზრუნველყოფას და ეფექტიანობის გაზრდას, რაც სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთი პრიორიტეტი და სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია.

3. საგრანტო კონკურსში მონაწილეობა

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ან მის ფილიალს, რომელიც საქმიანობს საქართველოში და დაინტერესებულია საგრანტო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებით და აკმაყოფილებს ამ პროგრამის ფარგლებში შექმნილი საგრანტო კომისიის მიერ დადგენილ ყველა კრიტერიუმს.

4. მნიშვნელოვანი ვადები

საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების გამოქვეყნება	არაუგვიანეს 2025 წლის 9 ივნისისა
საგრანტო განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა	2025 წლის 29 ივნისი
საგრანტო განაცხადის შეფასება და გადაწყვეტილების გამოქვეყნება	არაუგვიანეს 2025 წლის 4 ივლისისა
საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება	არაუგვიანეს 2025 წლის 11 ივლისისა
საგრანტო ვადა	2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

5. პროგრამის გეოგრაფიული გავრცელება

საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები განხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოკუპირებული ტერიტორიებისა.

6. პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი

საგრანტო პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ოჯახის წევრები, დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობის სურვილისამებრ.